აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 23

2 ოქტომბერი 2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ (09-01-88/66 18.09.2018 წელი)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრი:
ვლადიმერ მგალობლიშვილი

ავტორი

უმაღლესი საბჭოს წევრი:
ვლადიმერ მგალობლიშვილი

ინიციატორი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

18.09.2018 წელი

შემოსვლის თარიღი

წამყვანი კომიტეტი: 22.10.2018 წელი
სხვა კომიტეტები: 16.10.2018 წელი

საკომიტეტო მოსმენის ვადა

საშემოდგომო სესია

სხდომაზე განხილვის თარიღი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი;
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი;
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი;

კომიტეტი რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ.:+995 (0) 32 228 54 48 ელ.ფოსტა contact@sca.ge ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს **ბატონ გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტისა მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ".

წარმოდგენილ კანონის პროექტზე უმაღლეს საბჭოს კომიტეტებში და პლენარულ სხდომებზე მომხსენებელი იქნება კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი.

გთხოვთ, ინიცირებულ პროექტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი მსვლელობა.

/დანართი: 7 ფურცელი/

09/01-08/66
18-09-2018
8 ფურცელი

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

უმაღლესი საბჭოს წევრი

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს კანონი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის პირობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს, ამ კანონის მიზნებისათვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) განათლება - სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მოიცავს იმ ქმედებათა პროცესს, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. განათლება არის: ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი.

ბ) ზოგადი განათლება – განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს;

გ) პროფესიული განათლება - განათლება, რომლის მიზანია პირის მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება;

დ) უმაღლესი განათლება - სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დარგში კვალიფიცირებული კადრების მომზადებას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

ე) სახელოვნებო განათლება - განათლება ხელოვნების ერთ ან რამდენიმე სფეროს მიმართულებით;

ვ) არაფორმალური განათლება – პროფესიული განათლება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად ან არააკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად;

ზ) სკოლისგარეშე სასპორტო განათლება - სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფუძნებული განათლება, რომელსაც სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე;

თ) ინკლუზიური განათლება - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ზოგადსაგანმანათლებლო, სახელოვნებო და სასპორტო განათლებაზე

სრული ხელმისაწვდომობით, სოციალური ინტეგრაციისთვის შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფილი გარემოსა და განათლების მიღებისთვის თანაბარი შესაძლებლობის შექმნა განათლების ყველა დონეზე: სკოლამდელ, დაწყებით და საშუალო სკოლებში, პროფესიულ კოლეჯებში, უნივერსიტეტებში და მოზრდილთა საგანმანათლებლო პროგრამებში.

ი) გრანტი - უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი რესურსი ფულადი ან ნატურალური ფორმით;

კ) ჯილდო - გარკვეული საქმიანობისა ან/და ღვაწლისათვის პიროვნების (პიროვნებათა ჯგუფის) დასაჩუქრება სახელმწიფოს მიერ. ჯილდო შეიძლება გაიცეს როგორც ფულადი, ასევე მატერიალური სახით;

ლ) საპატიო წოდება - საქმიანობის რაიმე სფეროში გაწეული ღვაწლის, დამსახურების, წარმატებისთვის მინიჭებული წოდება;

მ) განათლების სისტემაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებული დაწესებულება, რომლის დებულებას ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი და რომლის ხელმძღვანელსაც შესაბამისად, ნიშნავს და ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი;

ნ) ქონება - ქონება ამ კანონით განსაზღვრული დაწესებულებებისათვის კანონით გათვალისწინებული ქონება;

ო) განათლების სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო დაწესებულებები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები, ასევე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებზეც სამინისტრო ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;

პ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

მუხლი 3. კანონის ძირითადი მიზნებია

1.აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების სფეროში უზრუნველყოს:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა;

გ) სახელოვნებო და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

დ) სკოლისგარეშე სასპორტო განათლების მხარდაჭერა;

ე) ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა;

ვ) განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2. განათლების სფეროში საქართველოს ერთიანი სამთავრობო პოლიტიკის გატარებისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლის განხორციელება.

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები განათლების ხელშეწყობის სფეროში

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს განათლების ხელშეწყობის პრიორიტეტებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების შექმნას, მართვას და მხარდაჭერას.

მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილება განათლების ხელშეწყობის სფეროში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო):

ა) განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, განათლების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ახორციელებს შესაბამის პროგრამებს;

ბ) ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ზოგადი განათლების სფეროში;

გ) ახორციელებს: სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების, უმაღლესი ზოგადი და პროფესიული განთლების, სახელოვნებო და არაფორმალური განათლების, სკოლისგარეშე სასპორტო განათლების, ინკლუზიური განათლების, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობის პროგრამებს;

დ) გასცემს გრანტს;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს ჯილდოს და ანიჭებს საპატიო წოდებებს;

ვ) აფუძნებს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შესაბამის სფეროში;

ზ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელ პირებს.

თ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია, სისტემაში შემავალ დაწესებულებას მისცეს წერილობითი გაფრთხილება;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია, სისტემაში შემავალი დაწესებულების ხელმძღვანელს ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება, თუ დაწესებულება ერთი წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს;

კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს;

ლ) უფლებამოსილია, მოკვლეული მასალების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის მხრიდან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების მიცემის ან/და საჯარო სკოლის

დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;

მ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს კანონმდებლობით, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 5. საგანმანათლებლო დაწესებულებების ქონება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციები მისთვის კანონმდებლობით გადაცემულ ქონებას განკარგავენ შესაბამისი სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 6. განათლების სფეროს დაფინანსება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო: უფლებამოსილია განახორციელოს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების, უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი, სახელოვნებო, სასპორტო, სკოლისგარეშე, არაფორმალური განათლების პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 7. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2018 წლის ---------
##

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 4 მაისის პლენარულ სხდომაზე მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ცვლილებებით გასწორდა მნიშვნელოვანი ხარვეზები როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით.

აღნიშნული კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს. მათ შორისაა, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა.

ზემოთ დასახელებული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა ,,განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომლის მიღებით შესაძლებელი გახდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განათლების სფეროში სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლებისა და პრინციპების დარეგულირება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების სფეროში გაატაროს საქართველოს ერთიანი სამთავრობო პოლიტიკა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს მეცნიერების, უმაღლესი, ზოგადი, პროფესიული, არაფორმალური, ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშეწყობის პირობები და კონტროლის განხორციელების რეგულაცია. კერძოდ, განათლების სფეროში კანონის მიზანია:

ა) სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა;

გ) სახელოვნებო და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

დ) სკოლისგარეშე სასპორტო განათლების მხარდაჭერა;

ე) ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა;

ვ) განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 8 მუხლისაგან. ზოგად დებულებაში ასახულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის პირობებს.

პროექტის მე-2 მუხლში განმარტებულია კანონის მიზნებისთვის გამოყენებული ტერმინები. მართალია, კანონში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ამ

პროექტით გათვალისწინებული რეგულაცია მოიცავს სხვადასხვა სამართლებრივ აქტში წარმოდგენილ მცნებებს, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის მეშვეობით ხდება ამ ცნებების თავმოყრა და შესაბამისად, მისი სამართლებრივი დატვირთვა გამართლებულია.

კანონპროექტის **მე-3 მუხლი** განსაზღვრავს კანონის მიზნებს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ განათლების სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიზანია უზრუნველყოს:

ა) სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა;

გ) სახელოვნებო და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

დ) სკოლისგარეშე სასპორტო განათლების მხარდაჭერა;

ე) ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა;

ვ) განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აქვეა განმარტებული, რომ კანონმდებლობა განათლების სფეროში ემსახურება საქართველოს ერთიანი სამთავრობო პოლიტიკის გატარებისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემაში შემავალი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელების რეგულაციას.

პროექტის **მე-4 მუხლი** წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებს განათლების ხელშეწყობის სფეროში. კერძოდ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რეგლამენტის შესაბამისად, პერიოდულად ისმენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ანგარიშს, განათლების ხელშეწყობის ძირითადი მიმართულებებისა და პროგრამების განხორციელების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების შექმნას, მართვას და მხარდაჭერას.

კანონპროექტის **მე-5 მუხლში** გაწერილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილება განათლების ხელშეწყობის სფეროში.

კანონპროექტის **მე-6 მუხლი** განმარტავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასევე სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციები მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას განკარგავენ შესაბამისი სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

კანონპროექტის **მე-7 მუხლი** განსაზღვრავს რეგიონში განათლების სფეროს დაფინანსების საკითხს. კერძოდ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო **უფლებამოსილია განახორციელოს,** როგორც სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების, უმაღლესი, ზოგადი და პროფესიული, სახელოვნებო და არაფორმალური, სკოლისგარეშე, სასპორტო განათლების **პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა,** ასევე **უზრუნველყოს** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში სააღმზრდელო მომსახურების (საცხოვრებელი პირობების, მკურნალობისა და კვების ხარჯების), გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება გათვალისწინებულია.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

26/09/2018
N 2366

2366-09-02-11-3-201809261623

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე
(N09-01-08/66, 18.09.2018 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს წევრი
ვლადიმერ მგალობლიშვილი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი